57-ე დადგენილების 57-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გაგრძელება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ სამშენებლო ობიექტზე არ არის განხორციელებული ისეთი სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც ამ დადგენილების შესაბამისად საჭიროებს მშენებლობის ახალ ნებართვას. რაც ნიშნავს ნებართვის გაგრძელების შესაძლებლობას არამხოლოდ პროექტის შესაბამისი ობიექტისთვის, არამედ ისეთი ობიექტისთვისაც რომელზე ჩატარებული სამუშაოებისთვისაც არაა საჭირო მშენებლობის ახალი ნებართვა 57-ე დადგენილების მიხედვით.

57-ე დადგენილების 65-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით I კლასის მშენებლობას არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა. ამავე ნაწილის "ლ" ქვეპუნქტის მიხედვით, კონდინციონერის მონტაჟი წარმოადგენს I კლასს, შესაბამისად მას არ ჭირდება მშენებლობის ახალი ნებართვა.

დამატებით მოგახსენებთ, რომ ნებართვის ვადის გაგრძელებით არ ხდება უკვე განხორციელებული სამუშაოების დადასტურება ან მათი პროექტში ასახვა. ნებართვის ვადის გაგრძელებით მოგვეცემა საშუალება შევასრულოთ დარჩენილი სამუშაოები და ავსახოთ ის ცვლილებები, რაც განიცადა პროექტმა. მათ შორის კონდინციონერების მონტაჟი, რომელიც განახორციელეს მაცხოვრებლებმა და არა ჩვენ. რადგან ამ კორპუსში უკვე ცხოვრობს მოსახლეობა, ხოლო უკვე დამონტაჟებული კონდინციონერების მოხსნის მათთვის დავალდებულება შეუძლებელია.

ამის გათვალისწინებით, გთხოვთ, გაგვიგრძელოთ მშენებლობის ნებართვა.